საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბრიჩიძე ნიკოლოზ ორჯონიკას ძე

გაბრიჩიძე ნიკოლოზ (ნუგზარ) ორჯონიკას ძე (დ. 26. IV. 1949, სოფ. გოგნი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი.). პოლიციის გენერალ-მაიორი (2001).

1978 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი. 1975–80 მუშაობდა თბილ. პირველი მაისის (დიდუბის), კალინინის (მთაწმინდის) რ-ნებისა და თბილ. პოლიციის შს სამმართველოში გამომძიებლად. 1980-იდან პროკურატურის სისტემაშია, – იყო კალინინის (მთაწმინდის) რ-ნის პროკურორის მოადგილე, საქართვ. პროკურატურის საგამომძიებო სამმართველოს პროკურორი, საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, 1984-იდან – თბილ. პირველი მაისის (დიდუბის) რ-ნის პროკურორი, 1990-იდან – თბილ. პროკურორის I მოადგილე; 1993–99 – პროკურორი, 1999-იდან საქართვ. გენ. პროკურორის პირველი მოადგილე, 2001 – შს სამინისტროს გენ. ინსპექციის უფროსი, 2001 წ. 30. X-იდან 2004 წ. 14. I-მდე – საქართვ. გენ. პროკურორი.

1994 მიენიჭა იუსტიციის სახელმწ. მრჩევლის, 2002 – იუსტიციის მთ. სახელმწ. მრჩევლის წოდება.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ლ. დოლიძე